GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

11 Mart / მარტი 2024

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6 731.2	11%	16.4%	0.3%

Ekonomi Bakanlığı 2023 Yılı için Turizm ve Havacılık Özet Raporunu Sundu

ეკონომიკის სამინისტრომ საქართველოს ტურიზმისა და ავიაციის 2023 წლის შემაჯამებელი ანგარიში წარმოადგინა

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı 2023 yılı için turizm ve havacılık özet raporunu sundu ve cari planları açıkladı. Etkinlik Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze'nin açılış konuşmasıyla başladı. Sunuma Başbakan Birinci Yardımcısı, Ekonomi Bakanı Levan Davitashvili, hükümet ve parlamento üyeleri, kamu ve özel sektör, kordiplomatik ve uluslararası finans kurumlarının temsilcileri katılmışlardır. Rapor ve gelecek planları Ekonomi Bakan Yardımcısı Mariam Kvrivishvili tarafından sunuldu. Kvrivishvili'ye göre, geçen sene her iki sanayi için rekor kıran oldu, turizmden 4.1 milyar dolar geliri elde edildi, havalimanları ise 6 000 000 yolcuya hizmet verdi.

2023 yılı, uluslararası turistlerin ziyaret istatistikleri de dahil olmak üzere turizm endüstrisi için özellikle başarılıydı; ziyaret sayısı yedi milyonu aştı. Bununla birlikte geçen sene Gürcistan'da 4,669,467 uluslararası turistik ziyareti gerçekleşti; 2022 seneye göre yüzde 27.8 artış kaydedilmiştir. 2023'te uluslararası turizmden elde edilen gelir bir önceki yılı (2022) yüzde 17.3 oranında (608.7 mln dolar) geçti. Küresel turizm gelirlerine göre, iyileşme %93'tür. Ayrıca belirtmek gerekir ki, 2023'te Gürcistan, Uluslararası Turizm Fuarı ITB Berlin'in ev sahibi bir ülkeydi ve tüm dünyadan 200 000 ziyaretçiyi ağırladı. Bu sene Gürcistan Dünya Turizm Günü'ne ve m&I Forum'a ev sahipliği yapacaktır. 2023 yılı dağlık tatil yerlerinde uygulanan büyük ölçekli altyapı projeleri açısından da başarılı oldu; Bakuriani'de 300 mln lari yatırım yapılmıştır, Gudauri'de yapılan yatırım hacmi ise 70 mln lari'yi buldu. Bunun sonucunda Bakuriani'de 2023 Serbest Kayak Dünya Şampiyonası düzenlendi, ülke ise Uluslararası Kayak Federasyonu'nun yarışma takviminde yerini aldı.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · თბილისი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bank

2023 Havacılık sanayi için de önemli sonuçlarla tamamlandı; Gürcistan pazarına 9 yeni hava şirketi girdi, Avrupa'da 6 destinasyonu dahil olmak üzere toplam 21 yeni uçuş rotası eklendi. Yeni stratejik destinasyonlar arasında Hamburg, Kopenhag, Madrid, Frankfurt, Brüksel, Poznan, Köln ve Deli uçuşları yer almaktadır. Günümüzde Gürcistan pazarında Wizz Air Hungary, Turkish Airlines, Pegasus, Georgian Airways, Azerbaijan Airlines, Fly Dubai, Air Arabia vb. lider hava şirketleri faaliyettedirler.

Etkinlikte bu iki mühim ekonomik sektörünün- turizm ve havacılığın büyümesi/gelişmesinin tüm ülkenin ekonomik durumu için önemli olduğunu özellikle vurgulanmış olup halk için yeni iş olanakları ve refah anlamına geldiğini belirtilmiştir.
Bununla beraber, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı 2024 yılının daha çok başarı kaydedeceğini öngörüyor, bu da havacılık sektöründeki 6.8 milyon yolcu akışına ve turizmden elde edilecek 4.5 milyar dolar gelirine yansıyacaktır.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ტურიზმისა და ავიაციის 2023 წლის შედეგების შემაჯამებელი ანგარიში წარმოადგინა და მიმდინარე წლის გეგმების პრეზენტაცია გამართა.

ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის სიტყვით გაიხსნა. მასში მონაწილეობა მიიღეს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, მთავრობის და პარლამენტის წევრებმა, საჯარო და კერძო სექტორის, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ანგარიშისა და სამომავლო გეგმების პრეზენტაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, მარიამ ქვრივიშვილმა წარმოადგინა. მისი ინფორმაციით, გასული წელი ორივე ინდუსტრიისთვის სარეკორდო მაჩვენებლებით გამოირჩეოდა, მათ შორის, ქვეყანამ ტურიზმიდან 4.1 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, საქართველოს აეროპორტები კი 6 მილიონ მგზავრს მოემსახურა.

ტურიზმის ინდუსტრიისთვის 2023 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო, მათ შორის საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკით - მათმა ოდენობამ შვიდ მილიონს

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ISBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

გადააჭარბა. ამასთან, გასულ წელს საქართველოში 4,669,467 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა - 2022 წელთან შედარებით ზრდა +27.8%-ია. 2023 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2022 წლის მონაცემებს 17.3%-ით (608.7 მლნ. აშშ. დოლარით)

გადააჭარბა. ტურიზმიდან გლობალური შემოსავლების მიხედვით, აღდგენა 93%-ს შეადგენს. ასევე აღსანიშნია, რომ 2023 წელს საქართველო საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ITB ბერლინის მასპინძელი ქვეყანა იყო და ღირსეულად წარსდგა ორასი ათასამდე ვიზიტორის წინაშე მთელი მსოფლიოდან. წელს კი საქართველო მსოფლიო ტურიზმის დღეს უმასპინძლებს, ასევე m&I Forum-ის მასპინძელი ქვეყანა იქნება.

2023 წელი ასევე წარმატებული იყო საქართველოს მთის კურორტებზე განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით - ბაკურიანში 300 მლნ. ლარის ინვესტიცია განხორციელდა, გუდაურში კი ინვესტიციის ოდენობამ 70 მლნ. ლარი შეადგინა.
შედეგად, გასულ წელს საქართველომ ბაკურიანში უმაღლეს დონეზე უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში, ქვეყანა კი საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მუდმივ კალენდარში მოხვდა.

მნიშვნელოვანი შედეგებით დასრულდა გასული წელი ავიაციის ინდუსტრიისთვისაც, კერძოდ: 2023 წელს საქართველოს ბაზარზე 9 ახალი ავიაკომპანია შემოვიდა, საჰაერო რეისებს კი 21, მათ შორის, 6 ევროპული ახალი მიმართულება დაემატა. სტრატეგიულ ახალ მიმართულებებს შორის არის ჰამბურგის, კოპენჰაგენის, მადრიდის, ფრანკფურტის, ბრიუსელის, პოზნანის, კიოლნისა და დელის მიმართულებები. დღეს საქართველოს ავიაბაზარზე ოპერირებენ წამყვანი ავიაკომპანიები - Wizz Air Hungary, Turkish Airlines, Pegasus, Georgian Airways, Azerbaijan Airlines, Fly Dubai, Air Arabia და ა.შ.

ღონისძიებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკონომიკის ამ ორი მნიშვნელოვანი დარგის - ტურიზმისა და ავიაციის ზრდა/განვითარება მნიშვნელოვანია მთელი ქვეყნის ეკონომიკური სურათისთვის და რაც მთავარია, ეს არის ახალი სამუშაო ადგილები და მეტი კეთილდღეობა მოსახლეობისთვის.

ამასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგნოზით 2024 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება, რაც ავიაციის სექტორში 6.8 მილიონიან მგზავრთნაკადსა და ტურიზმიდან 4.5 მლრდ აშშ დოლარის შემოსავლებში აისახება.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Avrupa'da Zeytinyağına %50 Zam Geldi

ევროპაში ზეითუნის ზეთი 50%-ით გაძვირდა

2024'ün ocak ayında Avrupa'da zeytinyağına %50 zam geldi.

Fiyatların 2023'ün kasım ayında yükselmeye başladığını belirtilmelidir, ürün o zaman bir önceki yıla göre %37 pahalılaşmış durumdaydı.

Yıllık bazda en yüksek fiyat artışı Portekiz'de seyredildi (%69), Portekiz'i %67'lik artışla Yunanistan takip ediyor, İspanya üçüncü sırada (%63), Estonya ise %52'lik artışla dördüncü sırada yer almaktadır.

En düşük zeytinyağı fiyat artışı Romanya'da (%13), İrlanda'da (%16) ve Hollanda'da (%18) kaydedilmiştir.

Gürcistan, 2023'ün ocak ayında bir litre zeytinyağı ortalama 6,2 dolara alırken, bu yılın aynı döneminde 6 dolara alıyor, geçen sene ocak ayında 120,4 bin dolar değerinde 19,2 ton zeytinyağı ithalatı yapılırken ise, 2024'ün aynı döneminde 118,5 bin dolar değerinde 20 ton zeytinyağı ithal edildi.

2024'ün ocak ayında Gürcistan zeytinyağı aşağıdaki ülkelerden ithalat etmiştir:

- İtalya- 73,1 bin dolar; 11,28 ton (Ortalama litre fiyatı 6,5 dolar)
- Azerbaycan- 28,4 bin dolar; 6,7 ton (Ortalama litre fiyatı 4,2 dolar)
- Frans- 11,6 bin dolar; 1,58 ton (Ortalama litre fiyatı 7,3 dolar)

Bunun haricinde İspanya'dan (4,74 bin dolar), Polonya'dan (0,46 bin dolar) ve İran'dan (0,130 bin dolar) da az miktarda zeytinyağı alındı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბილისი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

2024 წლის იანვარში ევროპაში ზეითუნის ზეთი 50%-ით გაძვირდა. აღსანიშნავია, რომ ფასებმა ზრდა ჯერ კიდევ 2023 წლის ნოემბერში დაიწყო, მაშინ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით პროდუქტი უკვე 37%-ით იყო გაძვირებული.

ფასების ყველაზე მაღალი ზრდა წლიურ ჭრილში დაფიქსირდა პორტუგალიაში - 69%, მას მოსდევს საბერძნეთი - 67% და ესპანეთი - 63%. იანვარში ფასების ზრდის მხრივ მეოთხე ადგილზეა ესტონეთი - 52%.

ზეითუნის ზეთის ფასების ყველაზე მცირე ზრდა დაფიქსირდა რუმინეთში (13%), ირლანდიაში (16%) და ნიდერლანდებში (18%).

რაც შეეხება საქართველოს, 2024 წლის იანვარში საქართველომ უცხოეთში ერთი ლიტრი ზეითუნის ზეთი საშუალოდ 6 დოლარად იყიდა, 2023 წლის იანვარში კი 6,2 დოლარად. უფრო კონკრეტულად, წელს იანვარში განხორციელდა 118,5 ათასი დოლარის ღირებულების 20 ტონა ზეთის იმპორტი, წინა წლის იანვარში კი 120,4 ათასი დოლარის ღირებულების 19,2 ტონის.

აღსანიშნავია, რომ წელს იანვარში საქართველომ ზეითუნის ზეთი ძირითადად 3 ქვეყანაში იყიდა:

- იტალია - 73,1 ათასი დოლარის ღირებულების 11,28 ტონა (საშუალო ფასი ლიტრზე 6,5 დოლარი)
- აზერბაიჯანი - 28,4 ათასი დოლარის ღირებულების 6,7 ტონა (საშუალო ფასი ლიტრზე 4,2 დოლარი)
- საფრანგეთი - 11,6 ათასი დოლარის ღირებულების 1,58 ტონა (საშუალო ფასი ლიტრზე 7,3 დოლარი)

ამასთან, წელს საქართველოს ზეითუნის ზეთი მცირე რაოდენობით შეიძინა ესპანეთში (4,74 ათასი დოლარი), პოლონეთსა (0,46 ათასი დოლარი) და ირანში (0,130 ათასი დოლარი).

2024 Dünya Gençler Snowboard Şampiyonası

ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი სნოუბორდში 2024

6-7 Nisan 2024 tarihlerinde Gürcistan'da ilk kez, Gudauri'de Uluslararası Kayak Federasyonu tarafından Dünya Gençler Snowboard Şampiyonası düzenlenecektir.

Şampiyonaya 21 yaşına kadar gençler katılacaklar.

İlk Dünya Gençler Snowboard Şampiyonası 1997 yılında İtalya'da, takip eden yıllarda İspanya, Fransa, Almanya, Avusturya, İşviçre, İşveç ve diğer ülkelerde düzenlenmiştir. 2024'te şampiyonanın ev sahipliğine Gürcistan hak kazandı.

Gürcistan bu yılın 3-4 şubat tarihlerinde, Gudauri'de başarılı bir şekilde düzenlenen Snowboard Cross Dünya Kupası ile dünyanın dikkatını çekip dünyanın spor haritasında yer aldı. Hem altyapı, hem organizasyonel açısından tüm standartları karşıladığı için, Gudauri uluslararası bir yarış düzenlemek üzere bir kez daha seçildi.

პირველად საქართველოში, გუდაური სნოუბორდში ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომელიც 6-7 აპრილს საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით ჩატარდება.

ჩემპიონატში 21 წლამდე სპორტსმენები იასპარეზებენ.

სნოუბორდში ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი პირველად 1997 წელს იტალიაში ჩატარდა. შემდეგ ღონისძიების მასპინძლები იყვნენ ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, შვედეთი და მსოფლიოს სხვა ქვეყნები, ხოლო 2024 წელს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება საქართველომ მოიპოვა.

საქართველომ მსოფლიოს ყურადღება წარმატებით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მიიპყრო, მათ შორის აღსანიშნავია მიმდინარე წლის 3-4 თებერვალს, გუდაურში გამართული

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

მსოფლიო თასის ეტაპი სნოუბორდ კროსის დისციპლინაში, რომლის წარმატებამ საქართველოს მსოფლიო სპორტულ რუკაზე კვლავ საპატიო ადგილი მოუპოვა. სწორედ ამიტომ, გუდაური საერთაშორისო დონის შეჯიბრების ჩასატარებლად კიდევ ერთხელ შეირჩა, რადგან სრულად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს როგორც ინფრასტრუქტურული, ისე საორგანიზაციო კუთხით.

Türkiye'de Otomobil Üretiminde Yüzde 12'lik Artış

თურქეთში ავტომობილების წარმოება 12%-ით გაიზარდა

Otomotiv Sanayii Derneği (OSD), 2024 yılının ilk iki ayına ait üretim ve ihracat adetleri ile pazar verilerini açıkladı. Buna göre, yılın ilk iki aylık döneminde traktör dışında toplam otomotiv üretimi bir önceki yılın aynı dönemine göre yüzde 8 artışla 241 bin 861 adede yükseldi. Otomobil üretimi ise yüzde 12'lik artışla 151 bin 14 adet oldu.

Traktör üretimiyle birlikte toplam üretim ise 250 bin 886 adedi buldu. Yılın ilk iki ayında ticari araç üretimi bir önceki yılın aynı dönemine göre yüzde 2, ağır ticari araç grubunda ise üretim yüzde 27 yükselirken, hafif ticari araç grubunda üretim yüzde 1 geriledi.

Bu dönemde, otomotiv sanayisinin kapasite kullanım oranı yüzde 74 olarak gerçekleşti. Araç grubu bazında kapasite kullanım oranları ise hafif araçlarda (otomobil+hafif ticari araç) yüzde 74, kamyon grubunda yüzde 94, otobüs-midibüs grubunda yüzde 61 ve traktörde yüzde 72 seviyesinde kaydedildi. Yılın ilk iki ayında otomotiv ihracatı geçen yılın aynı dönemine göre adet bazında yüzde 4 artarak 164 bin 560 adet olarak gerçekleşti. Bu dönemde otomobil ihracatı da bir önceki yılın aynı dönemine göre yüzde 3, ticari araç ihracatı da yüzde 6 arttı. Traktör ihracatı ise 2023'ün aynı dönemine göre yüzde 8 gerileyerek 3 bin 147 adet olarak gerçekleşti.

Türkiye İhracatçılar Meclisi verilerine göre, toplam otomotiv sanayi ihracatı, 2024'ün ilk iki aylık döneminde yüzde 14 pay ile sektörel ihracat sıralamasında zirvedeki yerini korudu.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ISBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

თურქეთის ავტომობილების წარმოების ასოციაციამ გაასაჯაროვა 2024 წლის პირველი ორი თვის ბაზრის მონაცემები ავტომობილების წარმოებისა და ექსპორტთან დაკავშირებით. ამ სტატისტიკის მიხედვით, წლის პირველ ორ თვეში ტრაქტორების გარდა ყველა ტიპის ავტომანქანის ჯამური წარმოება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8%-ით გაიზარდა და 241 861 ცალი შეადგინა. ავტომობილების წარმოება კი 12%-ით გაიზარდა და შეადგინა 151 014 ცალი.

ტრაქტორის წარმოების ჩათვლით ჯამური წარმოება კი 250 886 ცალ მანქანამდე გაიზარდა. წლის პირველ ორ თვეში კომერციული ავტომანქანების წარმოება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2%-ით გაიზარდა, სატვირთო მანქანების ჯგუფში 27%-იანი ზრდა ფიქსირდება, ხოლო მსუბუქი ავტომობილების ჯგუფში 1%-იანი კლება.

ამ პერიოდში, საავტომობილო ინდუსტრიის მწარმოებლური სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტმა 74% შეადგინა. მწარმოებლური სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი ავტომანქანების კატეგორიის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: მსუბუქი ავტომობილები- 74% (ავტომობილი+მსუბუქი კომერციული ავტომობილი), სატვირთოები- 94%, ავტობუსი-მინიბუსები- 61% და ტრაქტორები- 72%.

2024 წლის იანვარ-თებერვალში ავტომანქანების ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4%-ით გაიზარდა და 164 560 ცალი შეადგინა. ამ პერიოდში ავტომობილების ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3%-ით, კომერციული ავტომანქანების ექსპორტი კი 6%-ით გაიზარდა. ტრაქტორების ექსპორტი კი 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8%-ით შემცირდა და 3 147 ცალი შეადგინა.

თურქეთის ექსპორტიორთა ასამბლეის მონაცემების მიხედვით, ავტომანქანების ჯამურმა ექსპორტმა 2024 წლის პირველი ორი თვის მონაკვეთში 14%-იანი წილით სექტორულ ექსპორტში ლიდერის პოზიცია დაიკავა.

Japonya'nın Nikkei Endeksi İlk Kez 40 Bin Sınırını Aştı

იაპონიაში Nikkei-ის ინდექსი პირველად გადასცდა 40 ათასიან ზღვარს

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
MAQRO CONSTRUCTION
nurol
TAV Airports
Ziraat Bank

Toyota, 2030 Yılına Kadar Brezilya'ya $2.2 Milyar Yatırım Yapacak

ტოიოტა 2030 წლამდე ბრაზილიაში $2.2 მილიარდის ინვესტიციას განახორციელებს

Türkiye'de İşsizlik Oranı Ocak'ta Yüzde 9,1 Oldu

თურქეთში უმუშევრობის დონემ იანვრის თვეში 9,1%-ი შეადგინა

Gürcistan'a Karabuğday İthalatı Azalma Gösterdi- Ana Sağlayıcı (%99.6) Rusya

საქართველოში წიწიბურას იმპორტი შემცირდა - მთავარი მომწოდებელი (99.6%) რუსეთია

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურს

USD/GEL – 2.6576 **TRY/GEL** – 0.0834 **EUR/GEL** – 2.8949 **GBP/GEL** – 3.3884

BTC/USD – 71,53.56

USD/GEL

04 - 11 Mart 2024



USD/TR

04 - 11 Mart 2024

TRY/GEL

04 - 11 Mart 2024

USD/BTC

04 - 11 Mart 2024

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბილისი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank